

ელენე ჟერარდენი /პარიზი, აღმოსავლურ ენათა და ცივილიზაციათა ნაციონალური ინსტიტუტი/

ქართული ზმნური მორფოსინტაქსის სწავლების საკითხები: ორი სირთულე და რამდენიმე შეთავაზება

კარგა ხანია, რაც ქართული ენა არაქართულენოვან პირებს ხიბლავს. მისი თავისებურებები და ევროპული ენებისგან განსხვავებულობა იყო ის, რამაც თავდაპირველად განსაკუთრებით ენათმეცნიერები დააინტერესა. დღეს ქართული ისეთ ადამიანებსაც იზიდავს, რომლებსაც პირადი ურთიერთობები აქვთ საქართველოსთან და ამის გამო სჭირდებათ ენის შესწავლა. ზემოთ განხილული ორივე სახის მოსწავლეები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან არა მარტო მიზნებით, არამედ პროფილური თავისებურებებითა და უცხო ენის შესწავლისადმი მეთოდოლოგიური კომპენდენციით. ამ გაფართოებულ კონტიგენტს უდავოდ ესაჭიროება ქართული ენის სწავლების ახალი, მარჯვედ შერჩეული მეთოდიკა, ურომლისოდაც ყოველ დაინტერესებულ პირს უზარმაზარი სირთულეების წინაშე აყენებს.

ქართული ენის შესწავლის პროცესში ხშირად ისმის ორი მოსაზრება. ჯერ ერთი, ბევრი თვლის, რომ ქართულის მაღალ დონეზე ცოდნა შეუძლებელია ან კიდევ ამბობენ, რომ ოდესმე ქართულის გაგებას შეძლებენ, მაგრამ ვერასდროს ისწავლიან მას. მეორე მხრივ, ენის შესწავლის ბევრი მსურველი ამტკიცებს, რომ ქართულის სწავლას ვერ ახერხებენ იმიტომ, რომ პედაგოგებს ვერ აგებინებენ თავიანთ პრობლემებს და პედაგოგები ვერ ამართლებენ მოსწავლეთა მოლოდინს.

საინტერესოა, რატომაა ქართული ენა ასე რთული შესასწავლი და როგორ შეიძლება სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა. ამ საკითხის ფარგლებში დავინტერესდით რამდენიმე მოსწავლის გამოცდილებათა შედარებით. წინამდებარე სტატიის მიზანია არამკვიდრი მოლაპარაკის მოკრძალებული წვლილის შეტანა ქართული ენის სწავლების მეთოდების გაუმჯობესებაში. ქართული ენა ნულიდან ვისწავლეთ¹ და ამის შემდეგ, ქართული ენის გაკვეთილების ჩატარებაც დავიწყეთ ფრანგულენოვან მოსწავლეებთან. იმედია, ჩვენ

¹ აღმოსავლურ ენათა და ცივილიზაციათა ნაციონალური ინსტიტუტი (ინალკო) დავამთავრეთ პარიზში და დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ დომინიკ გოტიე-ელიგულაშვილს, ქალბატონ ნანა მეტრეველს და ქალბატონ თამარ მახარობლიძეს, რომლებმაც ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობა მომცეს. დიდ მადლობას ვუხდით თამარ ლომამქვასაც, რომელმაც დიდი დახმარება გააკვიწა ამ სტატიის რედაქტირების საქმეში.

გ- + გ- = გ-, მაგ. მე შენ გ-ნახავ (*გ-გ-ნახავ)

(5) თუ მრავლობითის ორი სუფიქსი -თ მოსალოდნელია ზმნის ფორმის ბოლოს, მხოლოდ ერთი გამოიხატება:

-თ + -თ = -თ, მაგ. ჩვენ თქვენ გი-ცნობ-თ (*გი-ცნობ-თ-თ)

ამ ტიპის წესები არაქართულენოვანისთვის უკვე აღარ არის ინტუიციური.

პოლიპერსონალური უღლების ასახსენლად, პედაგოგები ხშირად გამოიყენებენ ისეთ ცხრილებს, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო და სასარგებლო მოდელია:

ობ. სუბ.	1 მხ.	2 მხ.	3 მხ.	1 მრ.	2 მრ.	3 მრ.
1 მხ.						
2 მხ.						
3 მხ.						
1 მრ.						
2 მრ.						
3 მრ.						

ცხრილი 1: პირთა კომბინაციები თანამედროვე ქართულში ასეთი ცხრილები მოსწავლეებს მთელი სისტემის ერთი ხედვით გაგების შესაძლებლობას აძლევს. უასურველია, მათ გაიზებინონ ეს ცხრილი.

1.2. შეთავაზებული მეთოდი

როგორ გავაიოლოთ პირთა კომბინაციების ფლობა? ჩვენი აზრით, ამ პრობლემის გასაღები პრაქტიკაში ძვეს, ერთი სიტყვით სავარჯიშოებში. ენის შემსწავლელებს სჭირდებათ მექანიკური სავარჯიშოები, მარტივი ფორმით, მარტივი წინადადებებით. ასეთი სავარჯიშოების ორ მაგალითს გთავაზობთ ქვემოთ.

1.2.1. შესავსები ცხრილები

ამ პრინციპით გაკეთებული სავარჯიშოების ბაზა ზემოაღნიშნული უღლების ცხრილებს წარმოადგენს. სავარჯიშოში კერძო ზმნის ერთი ფორმაა მოცემული და

მთელი ცხრილი მოწაფის მიერ არის შესავსები. მოვიყვანოთ ორი მაგალითი:

სავარჯიშო 1: შეავსეთ შემდეგი ცხრილი მოცემული ზმნის სწორად შეუღლებული ფორმებით:

ობ. / სუბ.	1 მბ.	2 მბ.	3 მბ.	1 მრ.	2 მრ.	3 მრ.
1 მბ.						
2 მბ.						
3 მბ.				გაწერს		
1 მრ.						
2 მრ.						
3 მრ.						

ცხრილი 2: სავარჯიშოს მაგალითი

სავარჯიშო 2: შეავსეთ შემდეგი ცხრილი მოცემული ზმნის სწორად შეუღლებული ფორმებით:

ობ. / ებ.	1 მბ.	2 მბ.	3 მბ.	1 მრ.	2 მრ.	3 მრ.
1 მბ.						
2 მბ.						
3 მბ.						
1 მრ.						
2 მრ.						
3 მრ.		გჭირდება				

ცხრილი 3: სავარჯიშოს მაგალითი

მართალია, რომ ასეთი სავარჯიშოები შეიძლება მოსაწყენი ჩანდეს, მაგრამ მათი წარმატებული შედეგები სწორედ გამეორებაში მდგომარეობს. როდესაც მოწაფე ზმნის ფორმებს თვითონ აწარმოებს და იმეორებს, გაცილებით ადვილად გაიზებირებს კიდევ. მისი გონება ნელ-ნელა ეჩვევა ამ ახალ ენობრივ სისტემას, მრავალპირიანი უღლება თანდათან ავტომატური ხდება და, როგორც დავაკვირდით, რამდენიმე კვირაში ნებისმიერ ზმნის სწორ ფორმას აწარმოებს.

როგორც კი მორფოლოგია გასაგები ხდება, შეიძლება ამ ფორმების ნამდვილ კონტექსტებში გამოყენება.

1.2.2. მარტივად საწარმოები ზმნური ფორმები

ჩვენი შემოთავაზებული სავარჯიშოების მეორე ტიპი მცირე ზომის მარტივი წინადადებებისგან შედგება, რომლებშიც ზმნის ფორმა არის საწარმოები. აქ ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან პრინციპზე გავამახვილებთ: მოყვანილი წინადადებები უნდა იყოს მოკლე და მარტივი ლექსიკით შედგენილი.

სამუშაოდ, მასწავლებლებს ხშირად ავიწყდებათ, რამდენად რთულია ქართული ლექსიკის შესწავლა. ქართული სულ სხვა ენათა ოჯახს ეკუთვნის, აქედან გამომდინარე ფუძეები და აფიქსები ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც მოსწავლის გონებაში უკვე არსებობს. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მოსწავლეები ვერ ახერხებენ პასუხების გაცემას იმის გამო, რომ წინადადებების შინაარსსაც კი ვერ ხვდებიან. ისენი იბნევიან, თავდაჯერებას კარგავენ და არაფერი გამოსდით. ამიტომ, რადგანაც ესეთი სავარჯიშოები შეეხება ენის გრამატიკულ სისტემას, მოსწავლის მთელი ყურადღება სწორედ გრამატიკას უნდა დაეთმოს. ლექსიკას კი ნელ-ნელა აითვისებენ, ამ წინადადებების გამეორებით. გარდა ამისა, სასურველია ისეთი ფორმების არჩევა, რომლებიც ხშირად გამოიყენება სასაუბრო ენაში. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლის მიერ ამ ფორმების ყოველდღიურ მეტყველებაში უფრო სწრაფად გააქტიურებას. მაგალითად: მომეცი, მითხარი, დაგირეკავ... მართლაც ფორმა დაგირეკავ-ს ბევრჯერ ვიყენებთ დღის განმავლობაში, ხოლო ისეთი ფორმა, როგორცაა დამირეკავ ან მწერთ გაცილებით ნაკლებად გვხვდება. ამიტომ კარგი იქნება, რომ ყურადღება მიექცეს თავიდან ყველაზე ხშირად გამოყენებულ ფორმებს და მერე — სხვებს.

აღნიშნული შენიშვნები შეჯამებულია შემდეგ მაგალითებში:

სავარჯიშო 3: შეავსეთ შემდეგი წინადადებები მოცემული ზმნების სწორი ფორმებით:

1. დედა პურს (დაჭრა)
2. ბავშვები ჩვენ (ხედვა)

3. მეტროთი მოგზაურობა შენ..... (დაღლა)
 4. ღია ჩანგლებს მაგიდაზე (დადება)
 5. ნიკო მეგობარს წერილს (დაწერა)
- (ქცევასთან კომბინაციით):
6. ხვალ მე შენ (დარეკვა)
 7. მე და გიორგი თქვენ დაბადების დღეს

(მილოცვა)

როგორც აღვნიშნეთ, მრავალპირიანობა ერთ-ერთი დიდი სირთულეა ქართულში. ქვემოთ განვიხილავთ კიდევ ერთ სირთულეს - ე.წ. აქტანტების მარკირებას.

2. აქტანტების მარკირება

როგორც აღვნიშნეთ, ტერმინი აქტანტი აერთიანებს სამივე ელემენტს, რომელსაც კავშირი აქვს ზმნასთან. ქართულში ესენია სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი ობიექტი.

2.1. პრობლემის წარმოდგენა

ქართულში აქტანტები შესაძლოა მითითებული იყოს სახელობითში, მოთხრობითში ან მიცემითში ან კიდევ წარმოდგენილი იყოს -თვის/-თან თანდებულებით. ბრუნვის არჩევანი უშუალოდ დროსა და ზმნის ტიპზეა დამოკიდებული, რაც ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიც ჩანს:

- | | | |
|--------------|---------------|--------------|
| ა. ბავშვი-ი | შოკოლად-ს | ჭამ-ს. |
| სუბ.-სახ | პ.ობ.-მიც | [ამყო დრო] |
| ბ. ბავშვი-მა | შოკოლად-ი | შე-ჭამ-ა. |
| სუბ.-მოთხ | პ.ობ.-სახ | [ნამყო დრო] |
| გ. ბავშვი-ი | მეგობარ-ს | შე-ხვდ-ა. |
| სუბ.-სახ | ი.ობ.-მიც | [ნამყო დრო] |
| დ. ბავშვი-მა | მეგობარ-ს | ვაშლ-ი |
| სუბ.-მოთხ | ი.ობ.-სახ | პ.ობ.-სახ |
| ე. ბავშვი-ს | მეგობრის-თვის | ვაშლ-ი |
| სუბ.-მიც | ი.ობ.-თვის | პ.ობ.-სახ |
| | | [თურმეობითი] |

სხვა ენებს, რომლებსაც უმრავლესობა ფლობს, ეს თავისებურება ნაკლებად ახასიათებს:

(7) [რუსული]

- ა. ბავშვი (სახ. ბრ.) ხედავს და - (ბრალდ. ბრ.)
« ბავშვი (თავის) დას ხედავს. »
- ბ. ბავშვი (სახ. ბრ.) ნახა და - (ბრალდ. ბრ.)
« ბავშვი (თავისი) და ნახა. »
- გ. - .

- ბავშვი (სახ. ბრ.) უყვარს და - (ბრალდ. ბრ.)
 « ბავშვს (თავისი) და უყვარს. »
 დ. - .
 ბავშვი (სახ. ბრ.) შეხვდა და - (ბრალდ. ბრ.)
 « ბავშვი (თავის) დას შეხვდა. »

ეს მოვლენა მართლაც ცოტა ენებისთვისაა დამახასიათებელი და სწორედ ეს არის ქართული ენის შესწავლის ერთ-ერთი მთავარი სირთულე.

2.2. ანალიზები და შეთავაზებები

აღნიშნული საკითხი ხშირად უკავშირდება სერიებსა და მწკრივებს. უღლების ეს ტიპიც ძალიან თავისებური და სრულიად ახალია ნებისმიერი მოსწავლისთვის. მართალია, საკმაოდ ძნელი გასაგებია მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი პრობლემა ზმნების დაჯგუფებებში და, უფრო სწორად, ზმნების დაჯგუფების ცუდ წარმოდგენაში მდგომარეობს.

ქართული ენის შემსწავლელნი ხშირად აღნიშნავენ, რომ სახელმძღვანელოებში ზმნათა განსხვავებული ჯგუფები ნათლად არ არის წარმოდგენილი და ამის გამო სუბიექტის და ობიექტების ბრუნვის სწორად არჩევა ხშირად უჭირთ. აქ გვხვდება ორი პრობლემა: თეორიული პრობლემა და პრაქტიკული პრობლემა.

2.2.1. თეორიული პრობლემა

თეორიის თვალსაზრისით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საზღვარი ზმნათა ჯგუფებს შორის - კერძოდ, ე.წ. მოქმედებითსა და მედიო-აქტიურ ზმნებს შორის - უკეთ უნდა იყოს ახსნილი.

მოვიყვანოთ ერთი კონკრეტული მაგალითი. აწმყო დროში **ვსაპოვებ და ვმუშაობ** ფორმები მორფოლოგიურად ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ხშირად ერთად არის კიდევ განხილული. მაგრამ ამ შემთხვევაში, მოწაფემ როგორ უნდა გაიგოს, რომ ნამყო დროში, მნიშვნელოვანი განსხვავებები ჩნდება? ამას ადასტურებს მაგალითი (8). პირველ ნაწილში ((8)ა.) ხაზგასმულია მსგავსი მორფემები, მეორეში კი — ((8)ბ.) გაჩენილი განსხვავებები.

(8) ა. [აწმყო დრო] ვ-სპ-ობ ვ-მუშა-ობ

ბ. [ნამყო დრო] მო-ვ-სპ-ე ვ-ი-მუშავ-ე + ა-ვ-მუშავ-დ-ი

ასეთი შემთხვევა ცხადყოფს, თუ რაოდენ საჭიროა ამ რთული სისტემის სწორი თეორიული ახსნა. ამ მკაცრი და ნათელი წარმოდგენის გარეშე, მოსწავლე დაიბნევა. ან გაგება დაეზარება ან, თუ ძალიან მოინდომებს, რამდენიმე ფორმას კი დაიმახსოვრებს, მაგრამ ახალ კონტექსტებში დამოუკიდებლად ახალი ფორმების შექმნა ძალიან გაუჭირდება. ამ პროცესის

გასაიოლებლად, მასწავლებლებს ვურჩევთ ცხრილების გამოყენებას. კარგი იქნებოდა, ყველა ზმნური ჯგუფისთვის, აქტანტების ბრუნვის წესების ნათლად ჩამოყალიბება. მაგალითად, გარდამავალი მოქმედებითი ზმნების (წერა) პარადიგმის სწავლებისას, შეიძლება მსგავსი ცხრილის გამოყენება:

(9) [აწმყო] **სუბ** (სახ) **ი.ობ** (მიც) **პ.ობ** (მიც)
 [ნამყო] **სუბ** (მოთხრ) **ი.ობ** (მიც) **პ.ობ** (სახ)
 [თურმეობითი] **სუბ** (მიც) **ი.ობ** (თანდებ.) **პ.ობ**(სახ) >>

ამ მოდელით იუღლება (და)წერა, (და)ნატვა, (გა)რეცხვა, (შე)ჭამა...

საერთოდ ცხრილები იმითაა კარგი, რომ ერთი შეხედვით სახეზეა მთელი სისტემა. ამიტომაც, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი სქემები ძალიან საჭიროა.

გარდა ამისა, კარგი იქნებოდა თავიდან აცილება ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა “მოქმედებითი” და “ვნებითი“. ამ ტერმინებს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს სხვა ენებში და ეს ბევრ გაურკვევლობასა და დაბნეულობას იწვევს. ამგვარად, ტერმინებიდან გამომდინარე, მოწაფეები ვერ იგებენ, რატომ უნდა ჩაითვალოს ვნებითად ისეთი ზმნები, როგორიცაა ვთბები, ვიკბინები, ვხვდები.

თუ თეორია ამ კუთხით დაიხვეწება, ენის სწავლა და სწავლება აშკარად გაიოლდება.

2.2.2. პრაქტიკული პრობლემა

და ბოლოს, რაც შეეხება პრაქტიკას, გავიმეორებთ, რომ სავარჯიშოები აქაც საჭიროა, ერთი და იმავე პრინციპებით, როგორც ამ სტატიის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, ე.ი. მოკლე წინადადებებითა და მარტივი სიტყვებით. ჯერ შეიძლება გაკეთდეს ასეთი სავარჯიშოები:

სავარჯიშო 4: შეავსეთ შემდეგი წინადადებები სწორი ბრუნვის ნიშნით:

1. ბავშვ .. შოკოლად .. ჭამს.
2. ბავშვ .. შოკოლად .. შეჭამა.
3. ქალ .. მეგობარ .. შეხვდა.
4. მასწავლებელ..... ბიჭ..... წიგნ..... მიუცია.
5. დედაშენ..... მეზობელ..... რა..... უთხრა?

მერე, ყველა ამ სავარჯიშოების სახე შეიძლება გავაერთიანოთ ისეთ ტიპის სავარჯიშოებად, როგორიცაა, მაგალითად:

სავარჯიშო 5: გადაწერეთ შემდეგი წინადადებები ნამყო დროში (შესაბ. თურმეობითში):

1. ბავშვი შოკოლადს ჭამს.

2. ქალი მეგობარს ხვდება.
3. მასწავლებელი ბიჭს წიგნს აძლევს.
4. დედაშენი მეზობელს რას სთხოვს?
5. ჩემს მეგობრებს ვერ ვხედავ.

შესაძლებელია სათარგმნი დავალებების შეთავაზებაც. ძირითადი პრინციპი არის, კიდევ ერთხელ, მოკლე წინადადებები და ხშირად გამოყენებული ლექსიკა, რათა მთელი ყურადღება გრამატიკას დაეთმოს.

ამრიგად, სტატიაში განვიხილეთ ორი სირთულე, რომელიც ქართული ენის სწავლისა და სწავლების პროცესებში გვხვდება. როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემები სწორედ ზმნურ სისტემას შეეხებოდა; კერძოდ, მრავალპირიანობასა და ზმნის აქტანტების მარკირებას. აღნიშნული სირთულეები მოსწავლეებს პრობლემებს უქმნის სწორედ იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, გრამატიკის განსაკუთრებულად რთული საკითხებია და მეორეც იმიტომ, რომ ისინი ქართული ენის თავისებურებებია. ეს პრობლემები აღვწერეთ, როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის თვალსაზრისით. კერძოდ, შევეცადეთ გვეჩვენებინა თეორიული გაუგებრობები, შესაბამისად, გრამატიკის წესების ასახსენლად რამდენიმე აზრის გაზიარება მოგვიხდა. მოხსენების და სტატიის მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკასაც დავუთმეთ. ქართული ენა ისეთი რთულია, რომ ბევრ პრაქტიკას მოითხოვს. ამიტომაც, სავარჯიშოების რამდენიმე მოდელი წარმოვადგინეთ.

ნათელია, რომ ქართული ენა განსაკუთრებით რთული სასწავლია, როგორც მეორე ენა, თუმცა მეორე მხრივ, აშკარაა, რომ მისი სწავლების გაიოლება შესაძლებელია. ვისურვებდით, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალის ანალიზი და შემოთავაზებები დაეხმაროს ყველას, ვინც ამ საკითხებზე მუშაობს.

დამოწმებული ლიტერატურა:

- დ. გოტიე-ელიგულაშვილი და ნ. მეტრეველი**, 2007-2012 - დ. გოტიე-ელიგულაშვილი და ნ. მეტრეველი, ქართული გრამატიკის ლექციების მასალა (პირველი კურსიდან მეხუთე კურსამდე), ინალკო, პარიზი, 2007-2012 ;
- თ. მახარობლიძე 2003** - თ. მახარობლიძე, Basic Georgian, LINCOP Practical Language Courses 01 (მეორე გამომცემლობა), 2003;
- ნ. შავთვალაძე 2006-2009** - ნ. შავთვალაძე, ბილიკი (I-II), ქართული ენის სახელმძღვანელო, ლეგა, თბ., 2006-2009;

ა. შანიძე 1973 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973;

კ. ჩხენკელი 1958 - კ. ჩხენკელი, Einführung in die georgische Sprache, Amirani Verlag, ციურინი, 1958.

Hélène Gérardin /Paris, National Institute of Oriental Languages and Civilizations/

Problems of Teaching Georgian Verbal Morphosyntax: Two Difficulties and Some Suggestions

Summary

The main problem of acquisition of Georgian as a second language is that the structure of this language is very different from that of the languages spoken by the majority of learners. As a consequence, it is very difficult for students to recognize common features and be able to draw upon these similarities. The aim of this paper is to share the double experience of learning and teaching Georgian in order to extract some general principles. We focus our attention on two elements which constitute the origin of common mistakes made by the students: the polypersonal conjugation and the marking of core arguments (subject, direct and indirect objects). In both cases, we describe the situation and explain why it is difficult for non-Georgians to understand and assimilate these features. In addition, we propose a few suggestions in order to simplify the acquisition of these rules. Besides useful tips, we also offer sample exercises. The presented analyses and materials intend to contribute to the development of methods of teaching Georgian as second language.